

FEMO

1-ლი კლასი

15 დეკემბერი 2019 წელი

სკოლა: _____

გვარი, სახელი: _____


- 1) ძმების ასაკებს შორის სხვაობა 2 წელია. დაბადების დღეზე თითოეულმა ძმამ მას იმდენი ვარდი აჩუქა, რამდენი წლისაცაა იგი. დედამ 8 ვარდი მიიღო საჩუქრად. რამდენი წლისაა არიან ძმები? (1 ქულა)

პასუხი: _____

- 2) სულ რამდენი ციფრი დაგვჭირდება 1-დან 16-მდე რიცხვების ჩასაწერად? (1 ქულა)

პასუხი: _____



- 3) თუ ქვემოთ მოცემული ნახაზიდან ავაწყობთ კუბიკს, რამდენი წერტილი აღმოჩნდება ზემოდან, თუ ქვემოთ 3 წერტილი იქნება? (1 ქულა)








პასუხი: _____

- 4) ორ თაროზე იყო 23 წიგნი. იყიდეს ახალი წიგნები და თითოეულ თაროზე დაამატეს იმდენი წიგნი, რამდენიც მასზე იყო. რამდენი წიგნია ახლა ორივე თაროზე? (1 ქულა)

პასუხი: _____


5)  +  = 4 კგ

 +  +  = 13 კგ

 +  = 34 კგ

 = ? (2 ქულა) პასუხი: _____

6) დახაზეთ, თუ როგორ გამოიყურება მოცემული ფიგურა ზემოდან. (2 ქულა)




7) იპოვეთ გამოტოვებული რიცხვი: 3, 8, ?, 15, 17, 18 (2 ქულა)

პასუხი: _____

8) ქვემოთ მოცემული კუბიკებიდან ჩამოჭრეს სხვადასხვა ნაწილები.

იპოვეთ რომელს რომელი ნაწილი აკლია: (3 ქულა: 1 ქულა 1 სწორი პასუხისათვის)




პასუხი: 1) _____ 2) _____ 3) _____

9) მოცემულია ჩხირებით გაკეთებული ჩანაწერი. ყველა ჩხირს ერთნაირი წონა აქვს. იპოვეთ ჩანაწერის წონა, თუ ასო M-ის წონა 12 გ-ია. (3 ქულა)



პასუხი: _____

10) ერთი პატარა მართკუთხედის წონაა 20 გ. რამდენს იწონის ერთი პატარა ხუთკუთხედი, თუ ნახაზზე მოცემული ფიგურის ყველა ნაწილი წონასწორობაშია? (4 ქულა)



პასუხი: _____

FEMO

მე-2 კლასი

15 დეკემბერი 2019 წელი

სკოლა: _____

გვარი, სახელი: _____


- 1) რისი ტოლია უდიდესი კენტი ორნიშნა რიცხვისა და უმცირესი ლუწი სამნიშნა რიცხვის ჯამი? (1 ქულა)

პასუხი: _____

- 2) ექვსკუთხა ფიცრის ნაჭერს 2 კუთხე ჩამოხერხეს. რამდენი კუთხე დარჩება? (1 ქულა)

პასუხი: _____

- 3) დახაზეთ, თუ როგორ გამოიყურება მოცემული ფიგურა ზემოდან. (1 ქულა)




- 4) ორ თაროზე იყო 23 წიგნი. იყიდეს ახალი წიგნები და თითოეულ თაროზე დაამატეს იმდენი წიგნი, რამდენიც მასზე იყო. რამდენი წიგნია ახლა ორივე თაროზე? (1 ქულა)

პასუხი: _____

- 5) სკოლის ეზოში თამაშობს 17 გოგონა და 19 ბიჭუნა. მათ სურთ გაიყონ 8 ჯგუფად ისე, რომ თითოეულ ჯგუფში ბავშვების ერთნაირი რაოდენობა იყოს. ბავშვთა რა უმცირესი რაოდენობა უნდა დაემატოს მათ ამისათვის? (2 ქულა)


პასუხი: _____

- 6) დაყავით ქვემოთ მოცემული ფიგურა ორ ტოლ ნაწილად (2 ქულა)



პასუხი: _____


7) ერთი პატარა მართკუთხედის წონაა 20 გ. რამდენს იწონის ერთი პატარა ხუთკუთხედი, თუ ნახაზზე მოცემული ფიგურის ყველა ნაწილი წონასწორობაშია? (2 ქულა)



პასუხი: _____

8) ბუზი, რომელიც იმყოფება A წერტილში, ნახაზზე მოცემული კუბის ფუძის ოთხივე გვერდის შემოვლას 4 წუთს ანდომებს. რა მინიმალურ დროში შეძლებს ბუზი A წვეროდან B წვეროში მისვლას? (3 ქულა)

პასუხი: _____



9) ამოხსენით რეზუსი: $FEMO + F + E + M + O = 2019$ (განსხვავებული ასოები განსხვავებულ ციფრებს აღნიშნავს). (3 ქულა)

პასუხი: _____

10) ინგლისურ ალფაბეტში 26 ასოა. ცოტნემ ასოები 01-დან 26-მდე ორნიშნა რიცხვებით დაშიფრა (თუ შიფრი ორნიშნაა, მაგალითად 12, მაშინ ის 12-ს წერს, ხოლო თუ შიფრი ერთნიშნაა, მაგალითად 6, მაშინ ის 06-ს წერს). დაშიფრვა შეიძლება ნებისმიერი ასოდან დაიწყოს ნებისმიერი რიცხვით 01-დან 26-მდე. თანაც, თუ ბოლო Z ასოს შიფრი გამოვიდა, მაგალითად 15, მაშინ დაშიფრვა გრძელდება პირველი A ასოდან და მისი შიფრი იქნება 16 და ასე შემდეგ. გამოიცანით, რა სიტყვაა დაშიფრული რიცხვებით "121506190726", თუ ასოების დაშიფრვა დაიწყო ასო L-დან და მისი შიფრია 18 (4 ქულა)

პასუხი: _____

FEMO

მე-3 კლასი

15 დეკემბერი 2019 წელი

სკოლა: _____

გვარი, სახელი: _____


- 1) რამდენი ციფრია საჭირო ყველა რიცხვის ჩასაწერად 95-დან 104-მდე? (მათი ჩათვლით) (1 ქულა)

პასუხი: _____

- 2) დორი, ჯონი და ლუკასი ერთ სკოლაში, მაგრამ სხვადასხვა კლასებში სწავლობენ: ერთი მათგანი მე-5 კლასელია, მეორე - მე-7 კლასელი, ხოლო მესამე კი - მე-9 კლასელი. რომელ კლასში სწავლობს თითოეული მათგანი, თუ დორი არაა არც მე-5 და არც მე-9 კლასელი, ხოლო ჯონი არ სწავლობს მე-5 კლასში? (1 ქულა)

პასუხი: _____

- 3) რამდენი კუბიკია საჭირო ქვემოთ მოცემული ფიგურის ასაწყობად? (1 ქულა)



პასუხი: _____

- 4) 3×3 ზომის მაგიური კვადრატადან, რომლის ყველა სვეტში, ყველა სტრიქონში და ყველა დიაგონალზე რიცხვების ჯამი ერთი და იგივეა, ზოგიერთ უჯრაში ჩაწერილი რიცხვი წაშალეს. რომელი რიცხვი იყო ჩაწერილი x -ით მონიშნულ უჯრაში? (1 ქულა)


14	19	
	15	
x	11	

პასუხი: _____

- 5) ამოხსენით რეზუსი: $FEMO + F + E + M + O = 2019$ (განსხვავებული ასოები განსხვავებულ ციფრებს აღნიშნავს) (2 ქულა)


პასუხი: _____

6) ერთი პატარა მართკუთხედის წონაა 20 გ. რამდენს იწონის ერთი პატარა ხუთკუთხედი, თუ ნახაზზე მოცემული ფიგურის ყველა ნაწილი წონასწორობაშია? (2 ქულა)



პასუხი: _____

7) ბუზი, რომელიც იმყოფება A წერტილში, ნახაზზე მოცემული კუბის ფუძის ოთხივე გვერდის შემოვლას 4 წუთს ანდომებს. რა მინიმალურ დროში შეძლებს ბუზი A წვეროდან B წვეროში მისვლას? (2 ქულა)




პასუხი: _____

8) ინგლისურ ალფაბეტში 26 ასოა. ცოტნემ ასოები 01-დან 26-მდე ორნიშნა რიცხვებით დაშიფრა (თუ შიფრი ორნიშნაა, მაგალითად 12, მაშინ ის 12-ს წერს, ხოლო თუ შიფრი ერთნიშნაა, მაგალითად 6, მაშინ ის 06-ს წერს). დაშიფრვა შეიძლება ნებისმიერი ასოდან დაიწყოს ნებისმიერი რიცხვით 01-დან 26-მდე. თანაც, თუ ბოლო Z ასოს შიფრი გამოვიდა მაგალითად, 15, მაშინ დაშიფრვა გრძელდება პირველი A ასოდან და მისი შიფრი იქნება 16 და ასე შემდეგ. გამოიცანით, რა სიტყვაა დაშიფრული რიცხვებით “121506190726”, თუ დაშიფრვა დაიწყო ასო L-დან და მისი შიფრია 18. (3 ქულა)

პასუხი: _____

9) გვაქვს ერთი კუბიკი, რომელიც ნაჩვენებია ქვემოთ მარცხნივ სხვადასხვა მხრიდან. მარჯვნივ კი იგი ნაჩვენებია გაშლილი სახით. გამოიცანით, რა რიცხვები უნდა ეწეროს ცარიელ უჯრებში და ჩაწერეთ ისინი მათში სწორად. (3 ქულა)



10) გიორგიმ და გეგამ სურათზე დათვალეს მეფე არტურის მრგვალი მაგიდის ირგვლივ მსხდარი რაინდები საათის ისრის მოძრაობის მიმართულებით. ოღონდ, თითოეულმა მათგანმა თვლა სხვადასხვა ადგილიდან დაიწყო. რაინდი, რომელიც გიორგისთვის მე-7 იყო, გეგასთვის 47-ე აღმოჩნდა. ხოლო რაინდი, რომელიც გეგასთვის მე-7 იყო, გიორგისთვის 30-ე აღმოჩნდა. რამდენი რაინდი იყო სულ გამოსახული მეფე არტურის მრგვალი მაგიდის ირგვლივ? (4 ქულა)

პასუხი: _____

FEMO

მე-4 კლასი

15 დეკემბერი 2019 წელი

სკოლა: _____

გვარი, სახელი: _____


- 1) ცოტნემ და ლიზიმ გადაწყვიტეს შეეჯიბრონ ერთმანეთს 100 მეტრზე რბენაში. ცოტნეს მიერ გარბენილი ყოველი 5 მეტრის შემდეგ ლიზის მხოლოდ 4 მეტრი აქვს გარბენილი. რამდენი მეტრი ექნება გარბენილი ლიზის, როცა ცოტნე ფინიშს გადაკვეთს? (1 ქულა)

პასუხი: _____

- 2) ადამ სმიტმა 500\$-ად Apple-ის აქციები შეიძინა. iPhone 11-ის გამოშვების შემდეგ Apple-ის აქციების ფასი 2-ჯერ გაიზარდა. ამის შემდეგ ადამმა თავისი აქციების მეოთხედი გაყიდა. რამდენი დოლარის Apple-ის აქციები დარჩა ადამს? (1 ქულა)

პასუხი: _____

- 3) ქვემოთ ნახაზზე მოცემულია გაშლილი კუბი. უფრო წვრილი ხაზებით გადაკვეცვის ადგილებია ნაჩვენები. თქვენს წარმოსახვაში შლილიდან ისევ ააწყვეთ კუბი და განსაზღვრეთ, რომელი წახნაგი იქნება ზედა, თუ რუხი ფერით ქვედა წახნაგია მონიშნული. (1 ქულა)



პასუხი: _____

- 4) საბავშვო ბალის ჯგუფში 25 ბავშვია. აქედან 13-მა ბავშვმა მონაწილეობა მიიღო ნახატების კონკურსში, ხოლო 17-მა ბავშვმა კი პლასტელინით ძერწვის კონკურსში. რამდენმა ბავშვმა მიიღო მონაწილეობა ორივე კონკურსში? (1 ქულა)

პასუხი: _____


- 5) ანასტასია და მარიამი ერთმანეთში თამაშობდნენ თამაშს, სადაც მოგებისთვის 2 ქულას იძლეოდნენ, ხოლო წაგებისთვის კი - 1 ქულას. ანასტასიამ სულ 3 თამაში მოიგო, ხოლო მარიამს თამაშის დამთავრების შემდეგ 5 ქულა აღმოაჩნდა. რამდენი თამაში ითამაშეს მათ სულ? (2 ქულა)

პასუხი: _____


- 6) ამოხსენით რეზუსი: $FEMO + F + E + M + O = 2019$ (განსხვავებული ასოები განსხვავებულ ციფრებს აღნიშნავს) (2 ქულა)

პასუხი: _____

7) რამდენი კუბიკია გამოყენებული თითოეული კოშკის ასაგებად? (პასუხები უნდა დაწეროთ ორივე კოშკისათვის ცალ-ცალკე) (2 ქულა)



a




ბ

პასუხი: a) _____

ბ) _____

8) სურათზე ნაჩვენები დიდი კუბიკი პატარა ხის კუბიკებისაგან შედგება. მასში, გვერდების პარალელურად, 6 გამჭოლი (ბოლომდე გამავალი) ხვრელია გაკეთებული. რამდენი პატარა კუბიკი დარჩა დაუზიანებელი? (3 ქულა)

პასუხი: _____



9) ოჯახში 4 ბავშვია. თუ ჩვენ გამოვთვლით ყოველი სამი მათგანის ასაკთა ჯამს, მივიღებთ რიცხვებს: 22, 20, 17 და 25. იპოვეთ ყველაზე უფროსი და ყველაზე უმცროსი ბავშვების ასაკთა სხვაობა. (3 ქულა)

პასუხი: _____

10) ჯგუფში, რომელშიც 26 ბავშვია, ზოგიერთმა იცის ყველა ასო, გარდა “F”-ისა, რომელსაც უბრალოდ გამოტოვებენ წერის დროს, ხოლო დანარჩენებმა იციან ყველა ასო, გარდა “E” ასოსა, რომელსაც ასევე გამოტოვებენ წერის დროს. ერთხელ მასწავლებელმა 8 მოსწავლეს სთხოვა დაეწერათ სიტყვა “FMO”, 12 მოსწავლეს სთხოვა დაეწერათ სიტყვა “EMO”, ხოლო დანარჩენ 6 მოსწავლეს სთხოვა დაეწერათ სიტყვა “FEMO”. ამასთან, სიტყვა “FMO” და სიტყვა “EMO” თითოეული 10-ჯერ აღმოჩნდა დაწერილი. რამდენმა ბავშვმა დაწერა თავისი სიტყვა სწორად? (4 ქულა)

პასუხი: _____